საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1356 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

„სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის“ 2016 წლის 27 მაისის №21 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს „სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის“ 2016 წლის 27 მაისის №21 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებები.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამედიცინო სერვისების უწყვეტი/შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრისათვის“

ქ. ქარელში ფანასკერტელის ქუჩა №30-ში მდებარე 23 282 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №68.10.45.028) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (განაშენიანების ფართი - 2715.8 კვ.მ) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით და არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემა შესაბამისი ქონების პრივატიზაციის პროცესის უზრუნველყოფამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის შესრულების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კაპიტალის ფორმირება შესაბამისი ქონების მიმართ, ხოლო შემდგომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**